სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი
საჯარო სამართლის იურიდიული პირები, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები

მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით გამართული ღონისძიებების ჩამონათვალი
(2019 წლის I კვარტალი)

- **მართლწესრიგის ოფიცრების შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან** - 2019 წლის პირველ კვარტალში, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა- „მართლწესრიგის ოფიცრებმა“ საინფორმაციო სახის შეხვედრები გამართეს თბილისის 16 საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებთან (შეხვედრებს დაესწრო 400-ზე მეტი მოსწავლე). შეხვედრებზე, მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელისა და მართლწესრიგის ოფიცრის ფუნქცია-მოვალეობების შესახებ. მართლწესრიგის ოფიცრები მოსწავლეებს ასევე ესაუბრნენ დანაშაულის პრევენციაზე, უსაფრთხოებასა და ამ კუთხით, მართლწესრიგის ოფიცრებსა და ახალგაზრდებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი

- შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრთან ერთად, ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრა ახალციხის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, სკოლის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, პედაგოგებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: ოჯახში ძალადობა, გენდერული თანასწორობა, ადრეული ქორწინება, ბულინგი, კიბერდანაშაული და ა.შ. (27 მარტი)

- ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სოფელ ატოცში, გაეროს უშიშროების საბჭოს

N1325 რეზოლუციის ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრა გამართეს სკოლის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან- ოჯახში ძალადობის, სახელმწიფო სერვისებისა და უსაფრთხოების საკითხებზე (28 მარტი)

- ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ჩართულობით, სოფელ კოდაში ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრა მოსწავლე-მასწავლებლებთან ტრეფიკინგის თემაზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიცია

2019 წლის 21 მარტს სასაზღვრო პოლიციის 20 წლის იუბილე აღინიშნა. აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით:

მესაზღვრის დღე 2019

- გაიმართა შეხვედრა ჭუბერის სექტორზე მედიის წარმომადგენლებისათვის. ჟურნალისტები ადგილზე გაეცნენ სასაზღვრო პოლიციის სიახლეებსა და რეფორმებს, გაიცნეს მესაზღვრის პროფესია. პირადად გაესაუბრნენ სასაზღვრო პოლიციის უფროსს და უწყების პრიორიტეტების შესახებ ინფორმაცია მიიღეს.
- გაიმართა შეხვედრა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, რომლებმაც სასაზღვრო პოლიციის უფროსისგან მიიღეს ინფორმაცია 2018 წელს მიღწეული შედეგებისა და სამომავლოდ დაგეგმილი პროექტების შესახებ.
- სახმელეთო საზღვრის დაცვის, სანაპირო დაცვისა და სასაზღვრო ავიაციის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 3 სატელევიზიო გადაცემაში (იმედის დილის გადაცემა, პირველი არხის დილის გადაცემა, ტვ პირველის შუადღის გადაცემა)
- მესაზღვრის დღისთვის მომზადდა საიმიჯო ვიდეო რგოლი და საინფორმაციო ბუკლეტი ქართულ-ინგლისურ ენებზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია

- 2019 წლის პირველ კვარტალში განხორციელდა თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეების ვიზიტები აკადემიაში. აკადემიის წარმომადგენლებმა სკოლის მოსწავლეებს სასწავლო პროცესი და პროგრამები გააცნეს. ასევე, მიაწოდეს ინფორმაცია სამართალდამცველების ზოგად საქმიანობასთან, საგამოძიებო პროცესებთან და სხვა, მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.

112

- **11 თებერვალი - 112-ის დღე** - 11 თებერვალი 112 ის დღედ, ევროსაბჭოს გადაწყვეტილებით 2009 წელს გამოცხადდა. ევროპის მასშტაბით, ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ყოველწლიურად იმართება, რომლის მიზანს მოსახლეობაში 112-ის ცნობადობის გაზრდა წარმოადგენს. წელს, საქართველოს 112-მა, აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით ცნობადობის გაზრდის კვირეული გამოაცხადა. კვირეულის ფარგლებში, სკოლებში ჩატარდა ინტერაქტიული გაკვეთილები, უნივერსიტეტებში კი - საჯარო ლექციები. კვირეულის ბოლოს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ხალხმრავალ სავაჭრო ცენტრებში 112-ის მობილური აპლიკაციის შესახებ საინფორმაციო კამპანია ჩატარდა.

- **მობილური აპლიკაციის შესახებ ცნობადობის გაზრდა** - მობილური აპლიკაციის რჩევების ნაწილს დაემატა კომპონენტი „თამბაქოს კონტროლი". აღნიშნულ კომპონენტში, დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს, მოიძიოს ინფორმაცია, როგორც თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონის თაობაზე, ასევე თუ როგორ მოვიქცეთ, როცა ვხედავთ კანონდარღვევას, რა მავლე გავლენა აქვს თამბაქოს ჯანმრთელობაზე და როგორ დავანებოთ თავი მოწევას. აღნიშნული ინფორმაცია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზეა ხელმისაწვდომი.

  გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, 112-ის აპლიკაციის სასარგებლო რჩევებს ოჯახში ძალადობის განყოფილება დაემატა. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ, მოიძიონ ინფორმაცია ოჯახში ძალადობისა და მისი ფორმების შესახებ, ასევე როგორ მოიქცნენ თუ ოჯახში ძალადობის პრობლემა აქვთ ან ფლობენ ინფორმაციას ასეთი ფაქტების შესახებ. აპლიკაციაში განთავსებულია ამომწურავი ინფორმაცია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული სახელმწიფო სერვისების - თავშესაფრების, კრიზისული ცენტრებისა და ცხელი ხაზის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

- **სკოლის მოსწავლეების ვიზიტები 112-ში** - „მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდის" პროექტის ფარგლებში 112-ს რეგულარულად სტუმრობენ საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები. 112-ის წარმომადგენლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას თუ რას ნიშნავს გადაუდებელი შემთხვევა, რა ნომერზე უნდა დარეკონ ასეთი შემთხვევების დროს და როგორ ითანამშრომლონ ოპერატორებთან. ასევე, განემარტებათ არამიზნობრივი ზარის საფრთხეები და ის სანქციები, რაც გათვალისწინებულია ცრუ ზარის განხორციელების შემთხვევაში.